



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030430065990817

№ 04-906/ო

15 / დეკემბერი / 2017 წ.

„სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“
სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 13
ოქტომბრის №04-738/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №04-738/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება – ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.
2. სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – „სააგენტო“) ეკონომიკურმა დეპარტამენტმა (ლ. მამულაშვილი) უზრუნველყოს „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის ღონისძიებები, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ პროექტიულად გამოქვეყნება, დადგენილი პირობებით.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, თ. მოდებამეს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე

| სახელმწიფო შესყიდვების 2018 წლის გეგმის პროექტი | | | | | | | დანართი №1 | |
|--|----------------|---|-----------------------|--|---------------------------------------|---|-------------------------------|----------|
| 1. შედგენის თარიღი | | | | 2. შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი 202178927 | | | | |
| 3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება | | | 4. დაფინანსების წყარო | | | | | |
| სოციალური მომსახურების სააგენტო | | | | | | | | |
| 5. სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა | | | | | | | 22,125,649 | |
| № | დანაყოფის კოდი | დანაყოფის დასახელება | სავარაუდო ღირებულება | შესყიდვის საშუალება | შესყიდვების დაწყების სავარაუდო ვადები | შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავარაუდო ვადა | საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი | შენიშვნა |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 1 | 22800000 | ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები | 38,670 | ე.ტ. | IV/2017 | I-IV/2018 | საქონელი და მომსახურება | |
| 2 | 24900000 | სუფთა და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები | 700 | გ.შ. | IV/2017 | I-IV/2018 | საქონელი და მომსახურება | |
| 3 | 30100000 | საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა | 39,249 | ე.ტ. | IV/2017 | I-IV/2018 | საქონელი და მომსახურება | |
| 4 | 33100000 | სამედიცინო მოწყობილობები | 71,400 | ე.ტ. | IV/2017 | I-IV/2018 | სოციალური უზრუნველყოფა | |
| 5 | 33600000 | ფარმაცევტული პროდუქტები | 21,370,000 | გ.შ. | IV/2017 | I-IV/2018 | სოციალური უზრუნველყოფა | |
| 6 | 50100000 | სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები | 88,000 | ე.ტ. | IV/2017 | I-IV/2018 | საქონელი და მომსახურება | |
| 7 | 50112300 | მანქანის რეცხვა და მსგავსი მომსახურებები | 10,800 | გ.ე.ტ. | IV/2017 | I-IV/2018 | საქონელი და მომსახურება | |
| 8 | 66500000 | სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები | 26,830 | ე.ტ. | IV/2017 | I-IV/2018 | სხვა ხარჯი | |

| | | | | | | | | |
|------|----------|--|------------|------|---------|-----------|----------------------------|--|
| 9 | 79700000 | გამოძიებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები | 130,000 | ე.ტ. | IV/2017 | I-IV/2018 | საქონელი და მომსახურება | |
| 10 | 90900000 | დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები | 350,000 | ე.ტ. | IV/2017 | I-IV/2018 | საქონელი და მომსახურება | |
| სულ: | | | 22,125,649 | | | | | |